

შეთანხმება მომსახურების შესახებ

ერთის მხრივ, შპს „სფეის კარგო“ შემდგომში „კომპანია“ და მეორეს მხრივ, „სფეის კარგო“-ს ვებ-გვერდის მომხმარებელი, შემდგომში „მომხმარებელი“, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი მომსახურების მიღებაზე ნების გამოხატვისთანავე, თანხმდებიან შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი და არსებითი პირობები

1.1. წინამდებარე შეთანხმების პირობების შესაბამისად, „სფეის კარგო“-ს მომსახურებით სარგებლობაზე ნების გამოხატვით მომხმარებელი სრულებით ეთანხმება შეთანხმების თითოეულ პირობას, თანხმობის დაფიქსირებისთანავე. მომსახურების პირობები საჯაროა.

1.2. „სფეის კარგო“-ს მომსახურება მოიცავს:

• შიდა სახმელეთო გადაზიდვებს (საქართველოს, სასომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენისტანის, აზერბაიჯანის და სხვა მიმართულებით);

• საჰაერო და საზღვაო გადაზიდვებს (იმპორტი/ექსპორტი);

• კონსოლიდირებას მსოფლიოს მასშტაბით;

• ტვირთის აღების სერვისი;

• სასაწყობო მომსახურებას;

• კარიდან კარამდე სერვისის;

• გადაფუთვას;

• საბაჟო ფორმალობების მოწესრიგებას.

მუხლი 2. მომხმარებლის მიერ საიტზე რეგისტრაცია

2.1. „სფეის კარგო“-ს მომხმარებელი საიტზე რეგისტრაციის შედეგად საკუთარ ანგარიშს მართავს მომხმარებლის ელ-ფოსტისა და პაროლის მეშვეობით. მომხმარებელი თავადაა პასუხისმგებელი მისი ანგარიშის მართვასა და პარამეტრების სისწორეზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მომხმარებელი ვალდებულია:

3.1.1 კომპანიის მოთხოვნით დროულად მიაწოდოს მას შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, აგრეთვე მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად. გარდა ამისა, მომხმარებელმა საჭიროების შესაბამისად, კომპანიას უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად.

3.1.2 საფრთხისშემცველი ტვირთის არსებობისას მომხმარებელი ვალდებულია გააფრთხილოს კომპანია საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე. ტვირთი, რომლის საფრთხისშემცველობის შესახებ არ იცოდა კომპანიამ, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების გარეშე.

3.1.3. მომხმარებელი ვალდებულია, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა, შეაფუთინოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად.

3.1.4. მომხმარებელი ვალდებულია ამანათის მიღებამდე გადაამოწმოს ამანათის შიგთავსი. მას შემდეგ, რაც მომხმარებელი ამანათის ჩაბარების შემდეგ დატოვებს კომპანიას, კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათში არსებული პროდუქციის შესაძლო დაზიანებაზე ან დანაკლისზე.

3.2 მომხმარებელს ეკრძალება შემდეგი სახის პროდუქციის გამოგზავნა:

3.2.1. ადვილად აალებადი საქონელი, როგორცაა (საღებავები და ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებები) "სპრეი", დატუმბული ბალონის ტიპი, ნებისმიერი ნივთიერება.

3.2.2 იარაღი: გაზის, პნევმატური და სანადირო გლუვლულიანი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი, ელექტროშოკური მოწყობილობები, ქორდიკები, სტილეტები, დესანტური ხიშტდანები.

3.2.3 ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პროდუქცია.

3.2.4. ნებისმიერი ქვეყნის მონეტები ან ბანკნოტები.

3.2.5. ფეინთბოლის თოფები და მათი აქსესუარები.

3.2.6. ტოქსიკური ნივთიერებები: შხამი და მომწამვლელი ნივთიერებები. მაგალითად, ნიკოტინი, ანტიფრიზი, სამუხრუჭე სითხე, ვერცხლისწყალი და სხვა.

3.2.7. მცენარეების თესლები (25 გრამზე მეტი) , მცენარეები.

3.2.8. ალკოჰოლური სასმელები.

3.2.9 . თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები.

3.2.10 . ფარმაცევტული პროდუქცია.

3.2.11. ანტიკვარული ნივთები.

3.2.12. ელემენტები, PowerBank-ები.

3.2.13. ნებისმიერი ფხვნილის შემცველი ნივთიერება.

3.2.14. სხვა საგნები, რომელთა ჩამოტანა ან მიმოქცევა აკრძალულია საქართველოს ან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, საიდანაც უნდა გამოიგზავნოს პროდუქტი.

3.2.15. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი მაინც გაგზავნის ამ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ პროდუქციას, კომპანია უფლებამოსილია გაანადგუროს ისინი.

3.3 მომხმარებელს უფლება აქვს:

3.3.1 თავად გააკეთოს დაზღვევა რისკების ყველა სახეობებზე, სადაზღვეო კომპანიებისთვის მიმართვის გზით. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია წარუდგინოს კომპანიას სადაზღვეო პოლისი არაუგვიანეს ორი დღით ადრე ტვირთის გადაზიდვის დაწყების თარიღისა. სადაზღვეო პოლისში მითითებული დაზღვევის ვადა უნდა ფარავდეს ამ ტვირთის ტრანსპორტირების სრულ პერიოდს. მომხმარებელი იღებს ვალდებულებას, არ წარუდგინოს არანაირი პრეტენზია ექსპედიტორ კომპანიას სადაზღვეო მდგომარეობის შემთხვევის დადგომის დროს.

3.3.2. მიიღოს სატრანსპორტო განაცხადით აუცილებელი ფორმალობების შესრულება ტვირთის გაფორმებისას, მათი დატვირთვის ან/და მიღების ადგილას, სატრანზიტო პროცედურები, დატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოები;

3.3.3. მიიღოს ინფორმაცია ყველა წარმოქმნილი პირობების შესახებ, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ან მოახდენენ ტვირთის დაცულობაზე, მის დროულ მიწოდებაზე.

მუხლი 4. ტრანსპორტირების ვადა, ამანათის წონის დამრგვალება

4.1 ამანათების ტრანსპორტირების საშუალო ვადა არის 10-15 სამუშაო დღე (საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების შემთხვევაში, ტრანსპორტირების ვადა განისაზღვრება ფრენების შესაბამისად).

4.2. ამანათების წონის დამრგვალება ხდება 100 გრ–მდე სიზუსტით;

4.3. ფასი დგინდება მხოლოდ რეალური წონით ფიზიკურ პირებზე და არა - მოცულობით. (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოცულობითი წონა აღემატება რეალურ წონას).

4.4 ტვირთი საქართველოში მდებარე საწყობში ინახება მისი ჩამოტანიდან 30 დღის განმავლობაში. შენახვის ვადის გადაცილების შემდეგ ტვირთს ყოველდღიურად დაერიცხება შენახვის საკომისიო - კილოგრამზე 0,5 ლარი, მაგრამ არანაკლებ 0,5 ლარისა დღეში.

4.5. 4.4. პუნქტში გათვალისწინებული ვალდებულების თაობაზე მომხმარებელს კომპანია ატყობინებს სმს შეტყობინების მეშვეობით და განუსაზღვრავს 30 დღის ვადას ტვირთის საწყობიდან გასატანად, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ უზრუნველყოფს ტვირთის საწყობიდან აღნიშნულ ვადაში გატანას, კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის წინასწარი თანხმობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ გაასხვისოს ნივთი ან გაანადგუროს იგი.

4.6. ნივთის გასხვისების შემთხვევაში კომპანია ამოღებული თანხებიდან აინაზღაურებს გასხვისების, შენახვის ხარჯებს და შენახვის საკომისიოს. ხოლო, დარჩენილ თანხის მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნებს მას.

მუხლი 5. კომპანიის მიერ შეტყობინებების გაგზავნა

5.1. კომპანია მომხმარებელს ამანათის თაობაზე ინფორმაციას აწვდის საიტზე მითითებულ მობილურის ნომერზე ან რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ-ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით.

5.2. ინფორმაციის მიწოდების საშუალებას განსაზღვრავს თავად მომხმარებელი.

მუხლი 6. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

6.1 „სფეის კარგო“ არ წარმოადგენს ინტერნეტ გაყიდვების საიტებს, შესაბამისად არ აკონტროლებს მომხმარებლის მიერ ამ საიტებზე შეძენილ პროდუქციას და არ არის პასუხისმგებელი მათი პროდუქციის ლეგალურობაზე, უსაფრთხოებაზე, ხარისხსა და შეთანხმებულ პირობებთან თანხვედრაზე.

6.2 კომპანია არ აგებს პასუხს:

6.2.1 თუ შეიცვალა ტვირთის ხარისხობრივი მაჩვენებელი ბუნებრივი მიზეზების გამო, გამოწვეული ტვირთის გადაზიდვით, ბუნებრივი დანაკლისების ნორმით (შრობა, განიავება, აორთქლება და სხვ.), ან ნეტო მასით გამოწვეული ცვლილებების გამო;

6.2.2 ტვირთის დაზიანების გამო, თუ ტვირთი ჩაბარებულია გადაზიდვისთვის შეუსაბამო შეფუთვით (ან მის გარეშე);

6.2.3 თუ მომხმარებელმა ტვირთი ჩაიბარა კომპანიის თანდასწრებით და არ შეამოწმა ტვირთის მდგომარეობა, ტვირთი, არსებული შიდა (უხილავი) დაზიანებებით, ჩაითვლება მომხმარებლის მიერ მიღებულად.

6.2.4 გადაზიდვისას ნივთის დაზიანებაზე, დაკარგვაზე ან განადგურებაზე, თუ ასეთი ზიანი გამოწვეულია მესამე პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების განხორციელების შედეგად.

6.2.5 სახელმწიფო ორგანოთა, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და/ან საჯარო მოხელეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეულ ზიანზე, რაც დაკავშირებულია მათ სამსახურებრივ უფლებამოსილებათა შესრულებასთან.

6.2.6 შემკვეთის ან დაზარალებულის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით ან შემკვეთის მიერ ისეთი მითითების მიცემით გამოწვეულ ზიანზე, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ ზიანთან.

6.2.7 ზიანზე, რომელიც დადგა შემკვეთის მიერ კომპანიისთვის არასწორი მონაცემების მიწოდებით ტვირთის შესახებ, ასევე ნებისმიერი არასწორი ინფორმაციის მიწოდებით იმ გარემოებათა შესახებ, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მიერ მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის ან თუ შემკვეთმა დადგინდა ვადაში არ მიაწოდა ექსპედიტორს

აღნიშნული გარემოებების ცვლილების შესახებ ინფორმაცია. ასევე ექსპედიტორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შემკვეთის მიერ გადამზიდველისთვის მიწოდებული მონაცემებისა და ინფორმაციის უზუსტობის ან არასაკმარისობის შედეგად გამოწვეულ ზიანზე.

6.2.8 თუ გადაზიდვის პროცესში ნებისმიერი ქვეყნის სამთავრობო ორგანოების, ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ მიღებული იქნება დადგენილება ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლის გადაზიდვის პირობებს და დროში გაზრდის ტვირთის მიწოდებას ან საერთოდ შეუძლებელს გახდის მას.

6.2.9 ტვირთების არასათანადო შეფუთვითა ან/და მათი დაზიანებულ მდგომარეობაში გაგზავნით, ასევე ტვირთის შეუსაბამო განლაგებითა ან/და დამაგრების შედეგად გამოწვეულ ზიანზე;

6.2.10 ზიანზე, რომლის თავიდან აცილება შემკვეთის მიერ შესაძლებელი იყო, მაგრამ მან დროულად ან საერთოდ არ მიიღო ყველა შესაძლებელი და სათანადო ზომა რისკის შემცირების ან თავიდან აცილებისათვის ან თუ მან ჩაიდინა განზრახი ქმედება ზარალის სიდიდის გასაზრდელად.

6.2.11 თუ ზიანი გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალებით გადასატან ტვირთთან ერთად სხვა ტვირთის გადაზიდვით, რომელიც ცნობილია შემკვეთის ან/და გადამზიდველისათვის, მაგრამ ამის შესახებ არ უცნობებიათ ექსპედიტორისათვის.

6.2.12 თუ შემკვეთის მიერ ექსპედიტორს ტვირთი მიეწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველად და ამის გამო გადასაზიდი ნივთი დაზიანდა.

6.2.13 ტვირთის ტრანსპორტირების ვადის გადაცილების შემთხვევაში დამკვეთისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც მიადგა მიუღებელი შემოსავალის სახით ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

6.2.14 ტვირთის ტრანსპორტირების ვადის გადაცილების შემთხვევაში დამკვეთისთვის მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე, რომლის შესახებ შეუძლებელია წინასწარ სცოდნოდა ან/და ინფორმირებული ყოფილიყო ექსპედიტორი.

6.2.15 ნებისმიერ ზიანზე, რომელიც დადგა ნივთის ჩამოტანიდან 30 დღის შემდეგ.

მუხლი 7. ანგარიშსწორების წესი და პირობები

7.1. ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათების ჯამური წონიდან. გადასახდელი წონის ფასი 1კგ-ზე მოცემულია მომხმარებლის კაბინეტში, ინვოისის გენერირების დღისთვის არსებული სს“ საქართველოს ბანკის“ დოლარის შესყიდვის კურსით ლარებში.

7.2. სავალდებულოა გადახდა განხორციელდეს მხოლოდ spacecargo.ge ვებ-გვერდზე მითითებული გადახდის მეთოდებით.

7.3. მომხმარებელს, ყოველი ტვირთის გადაზიდვის საფასურის გამოთვლა შეუძლია spacecargo.ge-ის ვებ-გვერდზე არსებული კალკულატორის მეშვეობით.

7.4. მომხმარებლის ანგარიშზე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ცალკეული ამანათის მიღება არ ხდება დავალიანების სრულად დაფარვამდე.

7.5. მოცულობითი წონა გამოითვლება შემდეგნაირად: სიგრძე x სიგანე x სიმაღლე შეფარდებული 6000 -ზე.

მუხლი 8. საკურიერო სერვისი

8.1. საკურიერო მომსახურება ხორციელდება ვებ გვერდზე საურიერო განყოფილებაში განთავსებული პიბების მიხედვით.

8.2. spacecargo.ge-ის საიტზე საკურიერო მომსახურება ფასიანია. საკურიერო მომსახურების ფასები განთავსებულია ვებ-გვერდზე, სიახლეების განყოფილებაში.

8.3. ვებ-გვერდზე მომხმარებლის მისამართის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ გზავნილის თბილისის საწყობში მიღებამდე.

8.4. ამანათის მისაღებად საჭიროა მომხმარებელმა თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

8.5. ამანათის გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

8.5.1 მას შეუძლია წარადგინოს ამანათის მიმღები ადრესატისაგან გაცემული და დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობა, შესაძლებლობის შემთხვევაში მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, ასევე გამტანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

8.5.2 ამანათის მიმღები ადრესატი ფეისბუქ მესენჯერის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინასწარ შეგვატყობინებს ამანათის მესამე პირზე გადაცემის ნებართვის თაობაზე.

8.6. მისამართზე მოსვლამდე კურიერი დაგიკავშირდებათ მითითებულ საკონტაქტო ნომერზე. თუ საკონტაქტო ნომერზე არავინ უპასუხებს ან სხვა ნომერი იქნება მითითებული, ამასთანავე იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ მისამართზეც არ დახვდება ამანათის ჩამბარებელი პირი, ამანათი დააბრუნდება ოფისში და მისი ხელახლა გამოტანა შესაძლებელი იქნება ოფისში მისვლით ან საკურიერო მომსახურების მოთხოვნით.

მუხლი 9. ამანათების გადაფუთვის სერვისი

9.1 გადაფუთვის სერვისი მოქმედებს განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე.

9.2. ზომაში შემცირების სერვისი გულისხმობს ამანათის სიცარიელის შემდგომ დაგვარად შემცირებას, საფოსტო ყუთის გადაჭრისა და მოკეცვის ხარჯზე.

9.3. არ ხდება რამდენიმე პროდუქციის ერთად გაერთიანება, ერთ ან რამდენიმე პროდუქციის ყუთში.

9.4. არ ხდება ამანათში არსებული პროდუქციის ქარხნული ყუთების გახსნა და ამგვარად შემცირება, ასევე არ ხდება ამანათის ზომაში შემცირება მასში მოთავსებული საიზოლაციო და უსაფრთხოების მასალის ამოღების ხარჯზე.

9.5. არ ხდება სასაჩუქრე ამანათების შემცირება ან მსხვრევადი პროდუქციის და ელექტრო ტექნიკის ამანათების შემცირება უსაფრთხოების მიზნით.

9.6. ყუთის შემცირებისას არ ხდება პროდუქციის დაპრესვა, დაწოლა, დაკეცვა ან დახვევა და ა.შ.

მუხლი 10. განბაჟება

10.1. დეკლარირება (პროდუქციის გამომგზავნის დასახელების, სასაქონლო კოდის და ფასის მითითება) spacecargo.ge-ის ვებ-გვერდზე სავალდებულოა. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომხმარებელს. არაზუსტი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში შესაძლებელია ამანათი დაყოვნებულ იქნას საბაჟოს მიერ გაურკვეველი ვადით.

10.2. კომერციული ტვირთის შემთხვევაში, განბაჟების პროცედურებს ახორციელებს და ფორმალობებს უზრუნველყოფს კომპანია.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახური ან ფინანსთა სამინისტრო დააკისრებს საჯარიმო სანქციას კომპანიას, მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო (მაგ.: პროდუქციის არასრული ან არაზუსტი დეკლარირება), კომპანია უფლებას იტოვებს აღნიშნული ჯარიმის გადახდა დააკისროს მომხმარებელს.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

11.1. კომპანია თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

11.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა, თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ.

11.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

11.4. დაუძლეველი ძალის პირობებში, კომპანია პასუხს არ აგებს მომსახურების შეუსრულებლობაზე ან დაგვიანებაზე, როდესაც ასეთი შეფერხებები გამოწვეულია ქმედებებით, რომელიც სცდება მისი შესაძლებლობების გონივრულ ფარგლებს, მათ შორის ბუნებრივი მოვლენების ან სტიქიების შემთხვევები ან მესამე პირთა ქმედებებით გამოწვეული შედეგები.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ მიიღო ერთი და იგივე ან მსგავსი შეკვეთა ერთდროულად რამდენიმე მომხმარებლისაგან და მას ხელი შეეშალა მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაში, ფორს-მაჟორული გარემოებიდან გამომდინარე, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს რომელი შეკვეთა შეასრულოს და რა მოცულობით.

მუხლი 12. დავის წარმოშობა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე დავის გადაწყვეტას, მაშინ ნებისმიერი დავა მხარეთა შორის განხილულ იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 13. ავიახაზებით გადასაზიდი ტვირთის დავის გადაწყვეტის წესი

13.1. იმ შემთხვევაში, თუ გადაზიდვა ხორციელდება ავიახაზების მეშვეობით, მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი დავა ტვირთის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და მისი მიწოდების დაგვიანების შესახებ უნდა გადაწყდეს ამ თავით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

13.2. ტვირთის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და მისი მიწოდების დაგვიანების შეტყობინების მომენტიდან, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადამზიდავი ავიახაზებს მიმართოს განცხადებით ტვირთის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და მისი მიწოდების დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ან ტვირთის მომხმარებლისათვის მიწოდების თობაზე.

13.3. მომხმარებელი ვალდებულია სრულად და მოთხოვნისთანავე მიაწოდოს კომპანიას ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც საჭიროა კომპანიის მხრიდან 13.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია არ არის ვალდებული აუნაზღაუროს მომხმარებელს დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და მისი მიწოდების დაგვიანებით გამოწვეული ზიანი.

13.4. კომპანია არ არის ვალდებული აუნაზღაუროს მომხმარებელს ზიანი ავიახაზების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ავიახაზების მხრიდან უარყოფითი პასუხის არსებობის შემთხვევაში ან თუ მომხმარებელი არ მოითხოვს ავიახაზებისათვის განცხადებით მიმართვას.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა

14.1 კომპანია და მომხმარებელი თანხმდებიან შემდეგზე: ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული და არ გამჟღავნდება პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე, გარდა წინამდებარე შეთანხმებით და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პირადი მონაცემების კონფიდენციალობის პირობებს ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პოლიტიკა.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

15.1. თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ორმხრივი კეთილი ნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

15.2. შეთანხმების ცალკეული პუნქტის ბათილობა არ იწვევს შეთანხმების დანარჩენი პუნქტის ბათილობას.

15.3. პირადი მონაცემების პოლიტიკაში კომპანიის მიერ დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ გროვდება და ინახება მომხმარებლის პირადი/კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4. წინამდებარე შეთანხმების პირობები და პირადი მონაცემების პოლიტიკა წარმოადგენს კომპანიასა და მომხმარებელს შორის არსებულ მთლიან შეთანხმებას. სხვა გამოხატული ან ნაგულისხმევი პირობები არ არის ამ შეთანხმების ნაწილი.

15.5. წინამდებარე შეთანხმების პირობებსა და ვებ-გვერდზე მოცემულ სხვა პირობებსა და წესებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესად გამოიყენება წინამდებარე შეთანხმების პირობები.

15.6. მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე რეგისტრაციისა და კომპანიის მომსახურების გამოყენებით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ სრულად ეთანხმება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ თითოეულ პირობას.

15.7. კომპანია უფლებამოსილია, მომხმარებელთან შეთანხმების გარეშე ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პირობები.